განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები

ბაკალავრიატი

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.10.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 25.11.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს უნივერსიტეტი** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული გადაწყვეტილება №819, 13.12.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე - სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ჩეკურიშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ წარმოდგენილმა „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ (შემდგომში - პროგრამამ) პირველად აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №819 (13.12.2012) გადაწყვეტილებით.

არსებობის მანძილზე პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ცვლილებების ძირითადი წყაროებია შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრები, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები, სხვ. პროგრამაში ცვლილებების მიზანი იყო მისი გაძლიერება, რათა ყოფილიყო უზრუნველყოფილი დარგში არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში განხორციელდა არჩევითი სასწავლო კურსების კატეგორებად დაყოფა თემატიკის მიხედვით (რეგიონისა და ქვეყანათმცოდ-ნეობის, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო წესრიგისა და ეკონომიკის არჩევითი სასწავლო კურსები). სტუდენტისათვის პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსები გადანაწილდა სამი ძირითადი მიმართულებით: უსაფრთხოება, გლობალური ინსტიტუტები და რეგიონალური პოლიტიკა. პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა საერთაშორისო ინსტიტუტების როლსა და მათ ეფექტიანად მოქმედების მნიშვნელობას გლობალური პოლიტიკის გამოწვევებში. პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი ორი მიმართიულებით: პირველი, პროგრამას დაემატა პრაქტიკული კურსი, რომლის მიზანია სტუდენტს გააცნოს გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ამ პროცესში ამოქმედებული კონკრეტული მექანიზმები და ამასთან ერთად შეასწავლოს მოლაპარაკების ტექნიკები. მეორე, სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულ იქნა პრაქტიკული ელემენტი: 15-ქულიანი რეფერატი, რომელიც ანვითრებს კვლევით, წერით და პრეზენტაციის უარებს. პროგრამის განვითარების პროცესში, მისი წარმატებული განხორციელებისათვის, მოხდა უცხოეთში მოქმედი ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარება და, აგრეთვე, მისი შედარება ქართულ უნივერსიტეტებში არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებთან ბაზრის კვლევის ფარგლებში. წარმოდგენილი პროგრამა შეაფასა ორმა გარე ექსპერტმა (დარგის ადგილობრივმა და საერთაშორისო წარმომადგენელმა).

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი მახასიათებლები - პროგრამის მოცულობა: 240 ECTS-ის კრედიტი (ერთი კრედიტი = 25 სთ, მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს); სწავლების ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი); პროგრა-მის სტრუქტურა: სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტი და თავისუფალი კომპონენტი ან სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტი, თავისუფალი კომპონენტი და დამატებითი პროგრამა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 6 21 0001024443, 04/10/2021) საფუძველზე, მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) დისტანციური შეხვედრა Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა პროგრამის შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა, დავალებების გადანაწილება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, შემუშავდა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი და სხვა.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ზუმ-ვიზიტი დაიწყო 10:00 საათზე (22.10.2021) საქართველოს უნივერსიტეტში. ვიზიტის მსვლელობისას უნივერსიტეტმა უზრუნველყო ყველა პირობა რათა ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის პირველი შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომელიც წარმოდგენილი იყო უსდ-ს პრორექტორით, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანითა და მენეჯერით, დასაქმების ცენტრისა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრის წარმომადგენელებით, სასწავლო პროცესების მენეჯერით. საუბარი შეეხო საერთაშორისო ურთიერთობათა საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობას როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. სკოლის დეკანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილმა პროგრამამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ფუნქსიონირება ქართულ საგანმანათლებლო სფეროში. პირველი აკრედიტაციის შემდგომ, პროგრამა მუდმივად ვითარდება ახალი პოლიტიკური თუ საერთაშორისო გამოწვევების შესაბამისად. აკრედიტაციის ჯგუფის ერთ-ერთი კითხვა შეეხებოდა სტუდენტების რაოდენობის კლებას, რაც ადმინისტაციამ ახსნა ანალოგიური პროგრამების გამოჩენით საგანმანათლებლო ბაზარზე. შესაბამისად, პრორექტორმა ხაზი გაუსვა, რომ უსდ-სთვის საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა მნიშვნელოვანია, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში უსდ მზადაა უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური სტაბილურობა. სტუდენტთა შენარჩუნებისათვის უსდ-ში ფუნქციონირება დაიწყო tutoring-ის პროგრამა, რამაც უნდა შეცვალოს სტუდენტთა შემცირების დინამიკა. შემდეგ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს. პროგრამის ხელმძღვანელს, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მენეჯერს, ლექტორს, მკვლევარს, კურსდამთავრებულს, უსდ-ს ხარისხის სამსახურის უფროსს აკრედიტაციის მმართულებით. თვითშეფასების ჯგუფში წარმოდგენილ დამსაქმებელთან გასაუბრება შედგა დამსაქმებლებთან შეხვედრის სესიის დროს. სესიის დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ საუბრობდნენ ჯგუფის მუშაობის ფორმატს,

კონკრეტული წევრებისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. ამავე შეხვედრაზე აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო ბაზრის ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიას, აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად. დაისვა კითხვები, თუ როდის და როგორ ხდება სტუდენტთა ინფორმირება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რა ცვლილებები განიცადა პროგრამამ პირველი აკრედიტაციის შემდგომ და რა იყო ცვლილებების მიზეზი. მესამე სესიისას ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, როგორც საუნივერსიტეტო, ისე სკოლის წარმომადგენლებს. საუბარი შეეხო ლექტორებთან ურთიერთობის ფორმატს, აღინიშნა პროგრამის განვითარების საბჭოს შექმნის აუცილებლობა წინასააკრედიტაციო პროცესში; სილაბუსების ფორმას და ლექტორების ინფორმირებულობას სილაბუსის შედგენისას, ამავე პროცესში მათ ავტონომიურობასა და სწავლების მეთოდებზე; გაჩნდა კითხვები შეფასების დოკუმენტში შეფასების ნიშნულებთან მიმართებით. შემდგომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ (აკადემიური და მოწვეულ) პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლებს. ასევე, ვიზიტის დროს დისტანციურად განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შერჩევის პრინციპით შემოწმდა ბიბლიოთეკის ფონდში სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა. საუბარი შეეხო პროგრამის სტრუქტურას, კურსების დაბალანსების, კონკრეტულად კი, საგნებისათვის სავალდებულო და არჩევითი სტატუსის მინიჭების, პრინციპს; კვლევის მეთოდოლოგიის კურსებს, საბაკალავრო თემაზე მუშაობის მიმდინარეობას, ლექტორთა ტრენინგებში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კვლევითი პროცესის გაძლიერების ინსტრუმენტებს; სტუდენტთა და ლექტორთა კვლევითი საქმიანობის წახალისებისა და ფინანსური დახმარების მექანიზმებს და სხვა. პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა მუდმივად ვითარდება მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით და მათ შესაბამისად ხდება პროგრამის სტრუქტურის, საგნების, კურსების სილაბუსების გადახედვა, გადახალისება და ახალი კურსების დამატება მოთხოვნის მიხედვით. მაგალითად, პროგრამას დაემატა პრაქტიკული კურსი, ხოლო საგნის სილაბუსებს პრაქტიკული კომპონენი სტუდენტებისა მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნულმა უნდა გააძლიეროს პროფესიისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღიშნა, რომ ის ხშრად ხვდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად და ეხმარება მათ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსფამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრება შედგა დარჩენილი ხუთი სესიის ფარგლებში.

შესვენების შემდეგ, დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტი იყოს მოტივირებული და მისი სწავლის შედეგი

იყოს მაღალი ხარისხის. უსდ-ში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი რამდენიმე საგამოცდო ცენტრი (სტუდენტები ყველა გამოცდას აბარებენ ცენტრში, რომელიც აკმაყოფილებს ვირუსის გავრცელების თავიდან სცილების ყველა რეგულაციას). ბიბლიოთეკის დათვალიერებისას, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა და ხარისხის სამსახურის წარმომადგნელმა გვაჩვენა კონკრეტულად პროგრამისთვის შეძენილი წიგნები; მათი უმრავლესობა გაციფრებულია. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ელ-პლატფორმის გამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის მოძიება myug-პლატფორმის მეშვეობით. აღნიშნული პლატფორმა გამოიყენება ლექტორებთან ურთიერთობისთვისაც; აქვეა ატვირთული სასწავლო მასალები. სტუდენტები ყველანაირ ინფორმაციას იღებენ myug-ის მეშვეობით. წიგნის ელ-ვერსიის არარსებობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის თანამშრომელს სტუდენტი უგზავნის მოთხოვნას, რის საფუძველზეც ხდება საჭირო მასალის სკანირება და მიწოდება 24 საათის ვადაში. ბიბლიოთეკა ფლობს მნიშვნელოვან აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს. აკადემიური პერსონალი ახალ აკადემიურ წიგნს უკვეთავს ბიბილიოთეკის მენეჯერს სწავლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

უსდ-ში ფუნქციონირებს ტოლერანტობისა და მულტიკულტურის აუდიტორია, საკონცერტო/საკონფერენციო დარბაზი, ნატოს ცენტრი, სადაც წარმოდგენილი ნივთები, მათ შორის წიგნები, არის სხვადასხვა საელჩოების საჩუქარი.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს. მანამდე შედგა დამატებითი ვიზიტი პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან რიგი საკითხების დასაზუსტებლად,

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- <u>სტანდარტი 1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან.
- <u>სტანდარტი 2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>მეტწილად შესაბამისობაში</u> მოთხოვნებთან.
- <u>სტანდარტი 3</u> - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან (ამ სტანდარტის კომპონენტი 3.2 არ შეფასდა, რადგან შესაფასებელი პროგრამა ბაკალავრიატის საფეხურისაა).
- <u>სტანდარტი 4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაში</u> მოთხოვნებთან.

- <u>სტანდარტი 5</u> - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან.

უფრო კონკრეტულად, შესაბამისობაშია: 1.1, 2.1, 2.4, 2.5, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2; ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია: 1.2, 2.2, 2.3; 2,6 და 5.3 კომპონენტები.

- **რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია პროგრამის იმგვარად მოდიფიცირება, (ტრანსფერული უნარების კონკრეტულად გაწერა, კვლევითი და გუნდურად მუშობის უნარის გამომუშავება), რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ჰქონდეს დარგობრივი და ტრანსფერული ცოდნა, უნარი და კომპეტენციები, რომლებიც სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის/დამსაქმებლის მოთხოვნებს. აღნიშნული, ასევე, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას.
2. რეკომენებულია სასწავლო კურსის „ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის“ პროგრამის არჩევითი ნაწილიდან სავალდებულო ნაწილში გადატანა.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „კვლევის დიზაინი“ VII სემესტრში გადატანა.
4. რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში/საერთაშორისო ურთიერთობებში“ (თვისებრივი და რაოდენობრივი).
6. რეკომენდებულია განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში: „კვლევის დიზაინი“ (აკადემიური წერის კომპონენტებით) და „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“.
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „მსოფლიო პოლიტიკა“; „მსოფლიო პოლიტიკა II - ცივი ომი“; „შესავალი საქართველოს პოლიტიკაში“; „საქართველო და მსოფლიო“ სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.
8. რეკომენდებულია „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე და ობიექტური.
9. უნივერსიტეტში მოქმედი წესებით დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგ-რამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, მისი მეშვეობით უნდა იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.,
10. გამოკითხვის შედეგების ვალიდურობისა და გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გადაიხედოს გამოკითხვის/კვლევის ფორმები დასმული შეკითხვების და შესაძლო პასუხების ნაწილში (მათ შორის რესპოდენტთა კატეგორიასთან რელევანტურობის თვალსაზრისით), ასევე კვლევის შედეგების ანალიზი/დასკვნები უნდა იყოს რეალისტური და კვლევით მიღებული შედეგების შესაბამისი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
  1. სასურველია, გუნდური მუშაობის უნარის გამომუშავებისათვის სასწავლო კურსებში დაემატოს სწავლების შესაბამისი კომპონენტი, რომელიც ამავდროულად, კვლევითი უნარების გაძლიერებასაც შეუწყობს ხელს.
  2. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აქცენტი გააკეთოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციაზე.
  3. სასურველია, პროგრამას დაემატოს „საერთაშორისო სამართლის“ სასწავლო კურსი სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად.
  4. სასურველია გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსისთვის „ჰიბრიდული ომი“.
  5. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომს მიენიჭოს არა უმეტეს ორი სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტი (10-12 კრედიტი).
  6. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უსდ-მ მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია, შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობაში სტუდენტთა ჩასართავად.
  7. სასურველია, გაუმჯობესდეს სტუდენტთა სტაჟირების განხორციელება საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ფარგლებში.
  8. სასურველია სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სფეროს სპეციალისტის რეცენზირება, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომის ვალიდურობის გაზრდას.
  9. სასურველია მოხდეს ლექტორების წახალისება, რათა მათ ჩართონ სტუდენტები კვლევით პროექტებში.
  10. მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად დაემატოს ჩანაწერი პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დად-გენისა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესახებ, მითუმეტეს, რომ ამას დაწესებულება პრაქტიკულად ახორციელებს.
  11. მიზანშეწონილია „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ დაკორექტირდეს გამოყენებული ტერმინი „მოწვეული აკადემიური პერსონალი“.
  12. სასურველია არსებობდეს (წარმოდგენილი ყოფილიყო დოკუმენტი) აკადემიური პერსონალის დატირთვის შესახებ.
  13. მიზანშეწონილია გადაიხედოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადამიანური რესურსის საკმარისობის საკითხი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში):**
  1. უნივერსიტეტის მზაობა, გაითვალსიწინოს სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებანი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სასწავლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის დამატება. როგორც სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, მათი მოთხოვნა სწორედ პრაქტიკული ნაწილის

გაძლიერება იყო, რასაც გამოკითხვევშიც აფიქსირებდნენ, ამიტომ უნივერსიტეტმა მათი ინტერესები გაითვალისწინა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას პრაქტიკული ნაწილი დაამატა.

2. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური წახალისების მოქმედი მექანიზმი.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პირველი აკრედიტაციიდან დღემდე პერმანენტულად ხდებოდა პროგრამის განახლება. კერძოდ, ლიტერატურის გათანამედროვეობა, გამდიდრება; სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება; სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება.

პროგრამას არჩევითი სტატუსით უცხოური ენის ბლოკში დაემატა თურქული ენის 4 დონე და ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის; სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები: *რეჟიმები და ინსტიტუტები, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა, ისლამური სწავლებები, თურქეთის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება, ირანის საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკა და პოლიტიკური მითოლოგია, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, საერთაშორისო პოლიტიკა და განვითარება. ასევე, პროგრამას დაემატა პრაქტიკული კურსი-სიმულაცია: პოლიტიკური კრიზისი და გადაწყვეტილების მიღება/მოლაპარაკებები.*

უსდ-დან აკრედიტაციის ჯგუფის აკრედიტაციის დასკვნის პროექტთან მიმართებაში გამოგზავნილ **არგუმენტირებული პასუხს** აკრედიტაციის ჰგუფის წევრები გაეცნენ, იმსჯელეს და შედეგად გადაწყვიტეს, რომ რეკომენდაცია, საბაკალავრო ნაშრომისათვის შემცირდეს მინიჭებული კრედიტი, გადავიდეს რჩევაში, ხოლო რეკომენდაციები აკადემიური წერის სტანდარტთან და „ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობში“ კურსის სახელმძღვანელოსთან მიმართებით გაუქმებული იქნას. დანარჩენი რეკომენდაციების შესახებ არგუმენტები აკრედიტაციის ჯგუფმა არ გაიზიარა და დატოვა ძალაში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია, სტუდენტს ჰქონდეს მაღალი სტანდარტის შესატყვისი განათლების მიღების შესაძლებლობა. მან უნდა მიიღოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფუძვლიანი განათლება საერთაშორისო ურთიერთობებში (დარგის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები) და ფლობდეს სფეროში მუშაობისათვის აუცილებელ სპეციალიზებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. პროგრამის მიზანია, სწავლის პროცესში სტუდენტმა მიიღოს ფართო ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის, გლობალური, რეგიონული და საქართველოში განვითარებული პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს მიმართულებების და დარგში არსებული გამოწვევების შესახებ; შეიძინოს საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის მარეგულირებელი ორგანიზაციების, ინსტიტუტების შესახებ ფართო თუ კონკრეტული ცოდნა. ამასთან, პროგრამა ფოკუსირებულია იმაზე, რომ სტუდენტმა განივითაროს სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და გაანალიზიბის უნარი; შეძლოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადამწყვეტი ფაქტორების შეფასება. პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ მისი დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეეძლოს საერთაშორისო საკითხების შესახებ კვლევის ჩატარება დამოუკიდებლად ეთიკის ნორმებით და კეთილსინდისიერად; შესწავლილი დემოკრატიული ღირებულებები და კარგი მმართველობის პრინციპები გამოიყენოს პროფესიული საქმიანობისას; გამოიყენოს სწავლის მიმდინარეობისას შეძინილი პრობლემურ საკითხთა გაანალიზებისა და აქტიური კომუნიკაციის უნარი, სწორედ ამიტომ გადაწყდა პროგრამის გამდიდრება პრაქტიკის კურსით, სასწავლო კურსები კი - პრაქტიკული კომპონენტით. ამათან, პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებული ფლობდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის გამოსადეგარ საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ცოდნას. უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა პროგრამის განმახორციელებელმა სკოლამ ჩაატარა შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი კვლევა, რომელმაც გამოიკვეთა შემდეგი: დამსაქმებლები ითხოვენ კურსდამთავრებულს, რომელსაც ექნება საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ანალიზისა და

შეფასების, კვლევის, წერისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევებით. ასევე, კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ცოდნა საქართველოს ჩართულობაზე საერთაშორისო დონეზე როგორც გლობალურად, ისე რეგიონში მიმდინარე პროცესებში, რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაზე, ევრო-ატალანტიკურ ინტეგრაციაზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე და მათ ჩართულობაზე რეგიონულ თუ გლობალურ პროცესებში, საერთაშორისო ეკონომიკურა, სავაჭრო თუ საფინანსო ურთიერთობებზე და სხვა.

ორივე საფეხურის (უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის) ადმინისტრაცია პერიოდულად ხვდება დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს. როგორც ბაზრის კვლევებმა, ისე დამსაქმებლებთან შეხვედრებმა გამოკვეთა ძირითადი მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს პროგრამის კურსდათავრებულმა. მოთხოვნათა შორისაა როგორც დარგის თეორიული ცოდნა, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენება; წერითი და ზეპირმეტყველებითი უნარები; კომუნიკაციის უნარი და უცხო (ძირითადად ინგლისური) ენის სრულყოფილად ცოდნა. დამსაქმებლებთან შეხვედრებისას, დამსაქმებლების მხრიდან მიწოდებული იყო რჩევა, რომ პროგრამა გაფართოებულიყო ევრო-ატლანტიკური და რეგიონული მიმართულების საგნებით (ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები, ახლო აღმოსავლეთი, ისლამის სწავლება, ჰიბრიდული ომი და სხვა) საერთაშორისო გამოწვევებისა და საქართველოს საგარეო პრიორიტეტებიდან (საქართველოს საგარეო პოლიტიკა, საქართველო და მსოფლიო) გამომდინარე. შედეგად, პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამა გაამდიდრა აღნიშნული მიმართულების არჩევითი კურსებით. პროგრამაში გარკვეული კურსის დამატება მოხდა დამსაქმებელთა მოთხოვნის საფუძველზე. ასევე, პროგრამა სთავაზობს სტუდენტს როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ (თურქულ) ენებს.

პროგრამის განვითარებაში, ასევე, ჩართულია სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სკოლის აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები.

პროგრამის მიზანი ნათლადაა გაწერილი, არის კონკრეტული, გაზომვადი და შეესაბამება დარგის შესატყვის ცოდნასა და უნარებს. მიზნებიდან გამომდინარე, რომლებიც თანხმობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, პროგრამა უნივერსიტეტთან ერთად მოტივირებულია შესთავაზოს სტუდენტს ხარისხიანი განათლება, მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ჩართულობითა და კვლევითი თუ პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობით. სურვილის შემთხვევაში პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურსე (მაგისტრატურაში).

აღსანიშნავია, რომ უსდ-მ, სკოლამ და პროგრამამ შეიმუშავა პროგრამის გასავითარებლად ინტრნაციონალიზაციის სერიოზული სტრატეგია, რომლის ფარგლებში პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (მემორანდუმების მნიშვნელოვანი რაოდენობა), მათ შორის ერაზმუსის + გაცვლით პროგამაში, აღნიშნული გაცვლითი პროგრამით სარგებლობს აკადემიური პერსონალიც. ხელმოწერისათვის მზადაა ბილეფელდისა და ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლას. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი გაერთიანებულია „პოლიტიკის კვლევების ევროპულ კონსორციუმსა და EU HYBNET-ში, აღნიშნულ ორგანიზაციებთან კავშირი პროგრამას საშუალებას აძლევს, რომ მოიწვიოს

უცხოეთიდან დარგის სპეციალისტები სტუდენტთა ზამთრის/ზაფხულის სკოლებში მონაწილეობისათვის და აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგების ჩასატარებლად.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.ug.edu.ge) როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. უნივერსიტეტის მისია;
2. თვითშეფასების დოკუმენტი;
3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
4. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
5. მემორენდუმები;
6. ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
7. საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.ug.edu.ge).

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება:

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) შედგენილია პროგრამის მიზნების შესაბამისად და მიმართულია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის მიზანი ფოკუსირებულია იმაზე, რომ მიაწოდოს პროგრამის სტუდენტს თეორიული ცოდნა საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის და მარეგულირებელი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების სტრუქტურასა და ფუნქციონირების მექანიზმების შესახებ; გამოუმუშავოს სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და გაანალიზების უნარი; სტუდენტმა უნდა შეძლოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას გადამწყვეტი ფაქტორების დადგენა/შეფასება. ამავდროულად, სტუდენტს უნდა განუვითარდეს კვლევის,

წერის, ინტერპრეტირების, წარდგენის და კომუნიკაციის პრაქტიკული უნარები; შეეძლოს მიცემული დავალების ავტონომიურად, პასუხისმგებლიანად და კეთისინდისიერად შესრულება. პროგრამის მიზანი განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს ცოდნის, უნარე-ბისა და პასუხსიმგებლობა/ავტონომიურობის კონტექსტში. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებული ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს საფუძვლიან თეორიულ ცოდნას - იცნობს სფეროს ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, პრინციპებს, რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტებს; ხედავს საქართველოს ადგილს საერთაშორისო თუ რეგიონულ სისტემაში. მას შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის არქიტექტურისა და შემადგენელი სუბიექტების აღწერა; საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიის, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი საკითხების კრიტიკული გააზრება; ღია წყარიების გამოყენება და კვლევა; სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით საერთაშორისო ურთიერთობათა და მმართველობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი თემების ანალიზი და შეფასება. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული იყენებს ეთიკის, ჰუმანურობისა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს და ითვალისწინებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბებისა და დასაბუთებისას დარგის ძირითად კომპლექსურ საკითხებზე მსჯელობისას. ასევე, კურსდამთავრებული ფლობს ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენებზე ეფექტიანი კომუნიკაციის უნარს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან ურთიერთობისას.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია მეტწილად თანმიმდევრულად და ლოგიკურად, მისი შინაარსი ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საჭიროებს მცირე სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას) და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. თუმცა, აკრედიტაციის ჯგუფის შეფასებით, საჭიროებს მცირე სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას (იხ. სტანდარტი 2).პროგრამის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია ურთიერთშესაბამისია.

პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობისათვის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია ბაზრის კვლევის შედეგები, კურსდამთავრებულების ხედვები და დამსაქმებლების თანამშრომლობისას გახმოვანებული რჩევები (მაგ. საბაკალავრო ნაშრომისათვის სავალდებულო სტატუსის მინიჭება, პრაქტიკული კურსის დამატება და სილა-ბუსებში პრაქტიკული ელემენტის გათვალისწინება დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა მოთხოვნაა, კურსების - რეგიონის შემსწავლელი კურსები, საქართველოს პრიორიტეტები, დამატება კი დამსაქმებელთა მოთხოვნა. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამა არის მოწოდებული, დასაქმების ბაზარს მისი მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური პროფესიონალი შესთავაზოს. შესაბამისად, ბაზრის წარმოდგენილ კვლევას თუ დავეყრდნობით, დამსაქმებლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, კუსდამთავრებულს ჰქონდეს სპეციალობისათვის აუცილებელი პრაქტიკული ცოდნა და უნარები (სფეროს საკითხების ანალიზი, წერა, კვლევის ჩატარება, კომუნიკაცია, პრეზენტაციის წარდგენა და ა.შ.) (დეტალურად სტანდარტ 2-ში).

პროგრამის სწავლის შედეგები მიიღწევა პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ერთობლიობით: სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები „ცოდნა და გაცნობიერება“ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა, კითხვას ბადებს სასწავლო კურსების შედეგებში აღწერილი უნარების ნაწილი. სასწავლო კურსების სილაბუსებში (გარდა „კვლევის დიზაინისა“) უნარების ნაწილში აქცენტი კეთდება

არა ტრანსფერულ უნარებზე, არამედ დარგობრივ ცოდნა-გაცნობიერებაზე. რიგ სასწავლო კურსებში შეკითხვა გაჩნდა ასევე შედეგების „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“-ს ფორმულირებასთან, სადაც, ასევე, დარგობრივ ცოდნა-გაცნობიერებაზე კეთდება აქცენტი. შედეგების გაზომვადობისთვის, რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება მათი გაზომვადობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების ჭრილში (იხ.სტანდარტი 2.3).

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას (ასევე, საბაკალავრო ნაშრომების გადახედვისას) გამოიკვეთა, რომ პროგრამა ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს კვლევითი უნარის სათანადოდ განვითარებას (კერძოდ, კვლევის მეთოდოლოგიების ფართო ცოდნის მიღებას) მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტისათვის პროგრამით შეთავაზებულია ოთხი კურსი წერისა და კვლევის უნარის გამოსამუშავებლად. ამიტომ მნიშვნელოვანია კვლევითი კურსების გადახედვა და მათი შინაარსობრივი შეცვლა, გასაახლებელია აკადემიური წერის სტანდარტიც. ამავდროულად, საბაკალავრო ნაშრომის წარმატებით შესრულება პროგრამას გაიყვანს დაგეგმილ სწავლის შედეგზე. ამიტომ მნიშვნელოვანია კვლევითი კურსების გადახედვა და მათი შინაარსობრივი შეცვლა (დეტალურად სტანდარტ 2-ში).

როგორც ბაზრის კვლევების, ისე დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთი მოთხოვნაა კურსდამთავრებულის უნარი ჰარმონიულად იმუშაოს გუნდში. გუნდური მუშაობის პრინციპის განვითარება პროგრამის მიზანიცაა. ამ მიზნისა და შედეგის მისაღწევად სასურველია, აღნიშნული უნარის გამომუშავებისათვის შესაბამის სასწავლო კურსებს დაემატოს ისეთი კომპონენტები (მაგ., ჯგუფური კვლევითი პროექტი და/ან სხვა), რომლებიც ამავდრულად კვლევითი უნარების გაძლიერებასაც შეუწყობენ ხელს.

დაგეგმილი სწავლის შედეგების შეფასებისათვის შედგენილია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და სილაბუსის სწავლის შედგების ფორმები (კომპეტენციების მატრიცა). სწავლის შედეგის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია სტუდენტთა აკადემიური მოსწ-რების შეფასება, რაც გულისხმობს მთლიანად პროგრამისა და კურსის თითოეული კომპონენტის დონეზე მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას. ამავდროულად, გამოიყენება სწავლის შედეგების პირდაპირი (სტუდენტების წერითი და ზეპირი გამოკითხვა, გამოცდა, პრეზენტაცია, რეფერატი და სხვა) და არაპირდაპირი (დამსაქმებელთა და კურსდამთავრებუ-ლთა გამოკითხვა, პროგრამის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა) შეფასების მექანიზმები. სწავლის შეფასების შედეგების მონიტორინგის აწარმოებს ხარისხის სამსახური სემესტრულად. რეგრესის გამოვლენის შემთხვევაში, ხდება სწავლის შედეგებისა და მიღწევის გზების გადახედვა. პროგრამის განვითარების ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შეიქმნა პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანდა უსდ-დ კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები და პროგრამის ხელმძღვანელები. პროგრამა მოდიფიცირდება მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აწყობს შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების ჩამოყალიბების, გაზომვისა და სტუდენტისათვის ანალიზის უნარების განვითარებისათვის; ასევე, სილაბუსების სწორად შედგენის მიზნით იძლევა მეთოდურ რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (www.ug.edu.ge).

მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; 2. თვითშეფასების დოკუმენტი; 3. დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვები; 4. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; 5. საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი (www.ug.edu.ge).
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების იმგვარად მოდიფიცირება (ტრანსფერული უნარების კონკრეტულად გაწერა, კვლევითი და გუნდურად მუშობის უნარის გამომუშავება), რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ჰქონდეს დარგობრივი და ტრანსფერული ცოდნა, უნარი და კომპეტენციები, რომლებიც სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის/დამსაქმებლის მოთხოვნებს, აღნიშნული, ასევე, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღევას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სასურველია, გუნდური მუშაობის უნარის გამომუშავებისათვის სასწავლო კურსებში დაემატოს სწავლების შესაბამისი კომპონენტი, რომელიც ამავდროულად კვლევითი უნარების გაძლიერებასაც შეუწყობს ხელს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოცემულია პროგრამის კურიკულუმში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, აუცილებელი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება სავალდებულო საგნებში შემდეგი პრიორიტეტული თანმიმდევრობით: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ნებისმიერი უცხო ენა), ისტორია. აქედან, უცხო ენის გამოცდის მინიმალური ზღვარი უფრო დაბალი პროცენტით არის განსაზღვრული (20%) ვიდრე სხვა საგნების (25%), თავად უცხო ენის გამოცდა კი გულისხმობს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დადგენილი ნებისმიერი უცხო ენის ჩაბარებას. სფეროს სპეციფიკის, პროგრამის სტრუქტურის (პროგრამის სტრუქტურით, სასურველია პირველკურსელმა სწავლის პირველივე სემესტრში შეძლოს ინგლისური ენის B1/2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლა) და პროგრამის სასწავლო კურსების ძირითად ლიტერატურაში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ინგლისურენოვანი ლიტერატურის გათვალისწინებით (მათ შორის, სწავლების III-IV სემესტრში), მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აქცენტი გააკეთოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები; 2.თვითშეფასების ანგარიში; 3.უნივერსიტეტის ვებგვერდი; 4.ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა აქცენტი გააკეთოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დებულების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების (ბაკალავრიატის) საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის სავალდებულო კომპონენტი განსაზღვრულია 162 კრედიტის მოცულობით (მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, 18 კრედიტი). სტუდენტს 78 კრედიტის აღება შეუძლია პროგრამის თემატურად სტრუქტუირებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან ან/და დამატებითი პროგრამის არჩევით და თავისუფალი კრედიტებით. სტუდენტს ეძლევა საშუალება არჩევითი კურსების საშუალებით დაეუფლოს მეორე უცხო ენას. თემატურად დაჯგუფებული არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 3 ჯგუფის სახით: რეგიონალური პოლიტიკა; საერთაშორისო წესრიგი და ეკონომიკა; საერთაშორისო უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა.

პირველი აკრედიტაციიდან დღემდე პერმანენტულად ხდებოდა პროგრამის განახლება. კერ ძოდ, ლიტერატურის გათანამედროვეობა, გამდიდრება; სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება; სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება.

პროგრამას არჩევითი სტატუსით უცხოური ენის ბლოკში დაემატა თურქული ენის 4 დონე (ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის; სწავლის ძირითადი სფეროს სასწავლ კურსები: *რეჟიმები და ინსტიტუტები, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა, ისლამურ სწავლებები, თურქეთის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება, ირანის საგარეო პოლიტიკ პოლიტიკა და პოლიტიკური მითოლოგია, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ფინანსურ გაზრები და ინსტიტუტები, საერთაშორისო პოლიტიკა და განვითარება. ასევე, პროგრამას დაემა პრაქტიკული კურსი-სიმულაცია: პოლიტიკური კრიზისი და გადაწყვეტილებ მიღება/მოლაპარაკებები.*

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია - პროგრამის კომპონენტების წინაპირობები არის ადეკვატური და პროგრამაში შემავალი სავალდებულო სასწავლო

კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები და არჩევითი თემატური ბლოკები არის თანმიმდევრული. პროგრამის სტრუქტურა უმეტესწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საჭიროებს მცირე სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ: რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის“ პროგრამის არჩევითი ნაწილიდან სავალდებულო ნაწილში გადატანა სფეროს სპეციფიკის და სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურაში გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიმრავლის გათვალისწინებით. ასევე, პროგრამის სტრუქტურაში შეკითხვებს აჩენს სასწავლო კურსის „კვლევის დიზაინი“ სწავლების III სემესტრში განთავსება: იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის დიზაინი სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებაში უნდა დაეხმაროს, რომელიც სავალდებულოა და მის შესრულებას ენიჭება 18 კრედიტი. რეკომენდებულია ამ სასწავლო კურსის VII სემესტრში გადატანა. გარდა ამისა, სასურველია პროგრამას დაემატოს „საერთაშორისო სამართლის“ სასწავლო კურსი სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებმა და საბაკალავრო ნაშრომების გადახედვამ აჩვენა, რომ საბაკალავრო ნაშრომის 18 კრედიტიანი მოცულობა არ შეესაბამება წარმოდგენილ კომპონენტს. **სასურველია,** საბაკალავრო ნაშრომს მიენიჭოს არა უმეტეს ორი სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტი (10-12 კრედიტი). პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ჩართულობა დასტურდება ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით. მაგალითად, პროგრამის განახლების პროცესში გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული მხარეების რჩევები და პროგრამას დაემატა პრაქტიკული კურსი ძირითად სასწავლო კომპონენტად („პრაქტიკული კურსი-სიმულაცია: პოლიტიკური კრიზისი და გადაწყვეტილების მიღება/მოლაპარაკებები“).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1.საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; 2.პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; 3.თვითშეფასების ანგარიში; 4.საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; 5.წინაპირობების მატრიცა; 6.ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: 1. რეკომენებულია სასწავლო კურსის „ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის“ პროგრამის არჩევითი ნაწილიდან სავალდებულო ნაწილში გადატანა; 2. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „კვლევის დიზაინი“ VII სემესტრში გადატანა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სასურველია, პროგრამას დაემატოს „საერთაშორისო სამართლის“ სასწავლო კურსი სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად. 2. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომს მიენიჭოს არა უმეტეს ორი სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტი (10-12 კრედიტი).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
• ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; • სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა შეკითხვას აჩენს სასწავლო კურსების შედეგებში „უნარების“ ნაწილი - უკლებლივ ყველა სასწავლო კურსში (გარდა „კვლევის დიზაინის“ სასწავლო კურსისა) უნარების ნაწილში აქცენტი კეთდება არა ტრანსფერულ უნარებზე, არამედ დარგობრივ ცოდნა-გაცნობიერებაზე. სასწავლო კურსებში „საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი და პოლიტიკა“ და „საერთაშორისო ორგანიზაციები“ შეკითხვას ბადებს, ასევე, შედეგების „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობა“ ფორმულირება, სადაც, ასევე, დარგობრივ ცოდნა-გაცნობიერებაზე კეთდება აქცენტი. შედეგების გაზომვადობისთვის, რეკომენდებულია, გადაისინჯოს სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება მათი გაზომვადობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების ჭრილში. წარმოდგენილი ბაზრის კვლევების შედეგებით და დამსაქმებლებთა ინტერვიუირებით, გამოიკვეთა მთელი რიგი მოთხოვნები სხვადასხვა უნარებთან მიმართებაში, რომელსაც უნდა ფლობდეს პროგრამის კურსდამთავრებული. კვლევითი უნარი მოთხოვნათა ჩამონათვალში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა სტუდენტს სთავაზობს კვლევის უნარის განმავითრებელ რამდენიმე კურსს: „აკადემიური წერა“ (საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი), „კვლევის თვისებრივი მეთოდები პოლიტიკაში“ (სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი), „კვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები“ (საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი) და „კვლევის დიზაინი“ (სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი). აასევე, სტუდენტი ვალდებულია VIII სემესტრში მოამზადოს და დაიცვას საბაკალავრო ნაშრომი (18 კრედიტი). წარმოვადგენთ რამოდენიმე კომენტარს ჩამოთვლილი სასწავლო კურსების შესახებ: ▪ სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ისწავლება პირველ სემესტრში, მისი მიზანია სტუდენტმა აითვისოს აკადემიური წერის საფუძვლები. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს რეფერატის წერა აკადემიური სტანდარტით (APA სტილი). თუმცა, ლიტერატურა, რომელზეც სტუდენტი მუშაობს, არის მხატვრული. შესაბამისად, „საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამის სტუდენტს გაუჭირდება მხოლოდ აღნიშნული კურსით მიღებული ცოდნით გაუმკლავდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.

- სასწავლო კურსის „კვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები“ შესწავლა სავალდებულოა პირველივე სემესტრში (საუნივერსიტეტო სასწავლო კურსია). სათაურიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სტრუქტურაში კურსი პირველივე სემესტრშია გათვალისწინებული, სასწავლო კურსის სილაბუსი შინაარსობრივად უნდა გულისხმობდეს სტატისტიკის შესავალს. კურსი იწყება მარტივი მათემატიკით (თვლის სისტემები, გრაფიკები და სხვა); მე-9 კვირაში შემოდის სტატიკის საფუძვლები და მე-12 დამამთავრებელ კვირას ისწავლება ალბათობა. თუ სტუდენტი გადაწყვეტს საბაკალავრო ნაშრომისათვის გამოიყენოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია, აღნიშნული კურსით მიღებული ცოდნა და უნარი საკმარისი ვერ იქნება.
- მესამე სემესტრში სტუდენტს პროგრამა სთავაზობს სასწავლო კურსებს „თვისებრივი კვლევის მეთოდები პოლიტიკაში“ და „კვლევის დიზაინი“. საბაკალავრო ნაშრომის ეფექტიანად და წარმატებით შესასრულებლად „კვლევის დიზაინის“ კურსი აუცილებელია სტუდენტმა გაიაროს მე-7 სემესტრში, რაც დაეხმარება მას მოემზადოს საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად. კურსის სილაბუსი მოიცავს დიზაინის (კვლევის კითხვა, ჰიპოთეზა, კვლევის გეგმა და სხვა) და შერეული კვლევის მეთოდოლოგიის (რაოდენობრივი და თვისებრივი) ელემენტებს. მე-11 კვირა ეძღვნება კვლევის ფროფოუზალს, ხოლო მე-12 კვირას - კვლევის ანგარიშს. უნდა აღინიშნოს, რომ კურსით გათვალისწინებული ზოგიერთი თემა (ფოკუს ჯგუფები, ჩაღრმავებული ინტერვიუ) ისწავლება თვისებრივი კვლევის მეთოდები სასწავლო კურსშიც. რეკომენდებულია, თვისებრივი კვლევის მეთოდები გარდაიქმნას კვლევის მეთოდოლოგიებად პოლიტიკის მეცნიერებაში/საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც გააერთიანებს კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიებს და სტუდენტს შეასწავლის კვლევის შესაბამის ტექნიკებს; ხოლო „კვლევის დიზაინის“ სასწავლო კურსი მოერგოს, ერთის მხრივ, საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას/ფორმატს და, მეორეს მხრივ, ორიენტირებული იყოს აკადემიური წერის სრულყოფილად შესწავლაზე. სკოლის ფარგლებში მოქმედებს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია/რეგულაცია, თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი რათა სტუდენტმა შეძლოს ნაშრომის მომზადების პროცესის წარმართვა და ნაშრომის წარმატებით დაცვა. აღნიშნული ცვლილებების აუცილებლობას ამყარებს ის ფაქტიც, რომ საბაკალვრო ნაშრომს მინიჭებული აქვს მაღალი კრედიტი (18 ECTS), ხოლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა საბაკალავრო ნაშრომებმა გააჩინა კითხვები სწორედ მეთოდოლოგიურ და აკადემიურ სტანდარტებთან მიმართებით.
- სასწავლო კურსი „ეკონომიკისა და ბიზნის საფუძვლები“ საუნივერსისტეტო სავალდებულო სასწავლო კურსია. გარდა ამ კურსისა, პროგრამის სტუდენტები სწავლობენ ეკონომიკასთან დაკავშირებულ ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა „საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი და პოლიტიკა“ (სავალდებულო), „საერთაშორისო ვაჭრობა“ (არჩევითი) და „საერთაშორისო ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები“ (არჩევითი), რომლებიც მოითხოვენ ეკონომიკის ძირითადი კონცეფციების ცოდნას. მითითებული სასწავლო კურსი ერთი ლექციის ფარგლებში ფარავს მიკროეკონომიკას და ერთი ლექციის ფარგლებში - მაკროეკონომიკას. დანარჩენი ლექციები ეძღვნება ბიზნესის თემებს (მენეჯმენტი, ორგანიზაციის სტრუქტურა და ფუნქციონირება, კერძო კორპორაციები, კორპორაციული მართვა და სხვა). მე-13 (დამამთავრებელ) კვირას სტუდენტმა უნდა გააკეთოს ბიზნეს-გეგმის პრეზენტაცია. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნული კურსის სილაბუსი უნდა შეიცვალოს და გახდეს მორგებული საეთაშორისო ურთიერთობის პროგრამისათვის. წინადადებას დაეთანხმა

პროგრამის ხელმძღვანელი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეკონომიკის კურსის ცვლილებაზე მუშაობა დაწყებულია. რეკომენდებულია, შეიცვალოს კურსის „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“ შინაარსი (შესასწავლი თემები) და გახდეს მორგებული საეთაშორისო ურთიერთობის პროგრამისათვის.

სასწავლო კურსების შინაარსი უმეტესად შეესაბამება სწავლის შედეგებს. ზოგიერთი სასწავლო კურსების შინაარსის და სათაურის ურთიერთმიმართება აჩენს გარკვეულ კითხვებს, მაგალითად:

- სასწავლო კურსები „მსოფლიო პოლიტიკა“ და „მსოფლიო პოლიტიკა II - ცივი ომი“ შინაარსობრივად გვთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას ვესტფალიის პერიოდიდან ცივი ომის ჩათვლით. რეკომენდებულია, აღნიშნული სასწავლო კურსებს დაერქვას „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1“ და „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2 - ცივი ომი” და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები: სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი გახდეს ახალ სათაურთან შესაბამისი, მოეხსნას არსებული წინაპირობა („პოლიტიკის შესავალი“) და წინაპირობად წარმოდგენილ იქნას სასწავლო კურსი „შესავალი მსოფლიო ისტორიაში II“; განხორციელდეს პირველი და მეორე თემების ცვლილება ახალ სათაურთან მისადაგებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის პირველი და მეორე თემის საკითხები სტუდენტებს უკვე გავლილი აქვთ სასწავლო კურსში “საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ და ამ თემების ამოღება გავლენას არ მოახდენს პროგრამის შედეგებზე.
- სასწავლო კურსი „შესავალი საქართველოს პოლიტიკაში“ თავისი სწავლის შედეგებში და შინაარსში უმეტესად აქცენტს აკეთებს სხვადასხვა ისტორიულ ასპექტებზე (შუა საუკუნეების პერიოდიდან). სასწავლო კურსის მხოლოდ რამდენიმე თემა ეძღვნება დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდს, თუმცა საქართველოს პოლიტიკური სისტემის ანატომია და სპეციფიკა არ გვხვდება. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსისთვის „შესავალი საქართველოს პოლიტიკაში“ დაიწეროს ახალი, სათაურის შესაბამისი სილაბუსი, ხოლო არსებული შინაარსის სილაბუსს მოეძებნოს შესაბამისი სათაური და გადატანილ იქნას არჩევით სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსი „საქართველო და მსოფლიო“ კურსის შედეგების და შინაარსის მიხედვით უფრო ახლოს არის სათაურთან „პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში“. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „საქართველო და მსოფლიო“ სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში არსებული სათაურის შეცვლით ან არსებული სათაურისთვის ახალი სილაბუსის დაწერით (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლებელია არსებული სილაბუსის გადატანა არჩევით კურსებში).

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში. კითხვა და გარკვეული მოსაზრებები ჩნდება შემდეგ სასწავლო კურსებთან მიმართებით, მაგალითად:

- სასწავლო კურსის „ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებში“ სილაბუსის ძირითადი (სავალდებულო) ლიტერატურის ჩამონათვალში ვხვდებით სახელმძღვანელოს „The Routledge Companion to Philosophy of Medicine“. აღნიშნული სასწავლო კურსიდან მითითებული სახელმძღვანელოს უნდა იქნეს ამოღებული და საერთაშორისო ურთიერთობების სახელმძღვანელოთი ჩანაცვლებული **(უსდ-ს არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნული მიჩნეული იქნა ტექნიკურ შეცდომად, რომელიც მალევე გასწორდა).**

- სასწავლო კურსის „ჰიბრიდული ომი“ სილაბუსში ძირითად (სავალდებულო) ლიტერატურად მითითებულია მრავალრიცხოვანი ინგლისურენოვან ლიტერატურა, მათ შორის, სამეცნიერო სტატიები. სწავლების საფეხურისა და სტუდენტთა მიერ განხორციელებული შეფასებების (სხვა თემებთან შედარებით დაბალი კმაყოფილების პროცენტი აქვთ მინიჭებული სასწავლო კურსებში ლიტერატურის ადეკვატურობას) გათვალისწინებით, სასურველია, ძირითად (სავალდებულო) და/ან დამატებით ლიტერატურაში გათვალისწინებული იყოს ქართულენოვანი ლიტერატურაც (მაგ. „ჰიბრიდული ომების ანატომია“, ავტორთა კრებული, 2020“, ქართული კვლევითი ორგანიზაციების მიერ მომზადებული სტატიები და პოლიტიკის დოკუმენტები და სხვ.), ხოლო ინგლისურენოვანი ლიტერატურის რაოდენობის შესამცირებლად გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოს ტიპის ლიტერატურა (მაგ. Ofer Fridman, Russian “Hybrid Warfare”, Resurgence and Politicisation, Oxford, 2018 და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; სასწავლო კურსების სილაბუსები;
2. სწავლის შედეგების რუკა;
3. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საგნებით სტუდენტების კმაყოფილების კვლევა;
4. ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში/საერთაშორისო ურთიერთობებში (რაოდენობრივი და თვისებრივი)“.
3. რეკომენდებულია განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში: „კვლევის დიზაინი“ (აკადემიური წერის კომპონენტებით) და „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „მსოფლიო პოლიტიკა“; „მსოფლიო პოლიტიკა II - ცივი ომი“; „შესავალი საქართველოს პოლიტიკაში“; „საქართველო და მსოფლიო“ სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსისთვის „ჰიბრიდული ომი“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ (შემდგომში - პროგრამა) სტრუქტურა ითვალისწინებს სასწავლო კურსს „პრაქტიკული კურსი-სიმულაცია: პოლიტიკური კრიზისი და გადაწყვეტილების მიღება/მოლაპარაკებები“ (6 ECTS), რომლის ფარგლებში სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ 4 სიმულაციაში. გარდა ამ სავალდებულო სასწავლო კურსისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პროგრამის განმახორციელებელი სკოლის ორგანიზებულ და საერთაშორისო პარტნიორების მიერ დაფინანსებულ ყოველწლიურ სიმულაციაში (ექსტრაკურიკულარული აქტივობა), რომელიც რამდენიმე დღე გრძელდება, ხოლო მისი მოსამზადებელი პერიოდი - რამდენიმე კვირა. ასევე, პრაქტიკული ელემენტები ჩაშენებულია სხვადასხვა სასწავლო კურსებში როგორც შეფასების კომპონენტი. სტუდენტების მოთხოვნით, ბოლო წლებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები შეფასების სიტემაში და გაიზარდა პრეზენტაციების ქულობრივი შეფასება (15 ქულა). პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში სტუდენტთა მაღალი პროცენტი თვლის, რომ სასწავლო კურსების გავლის პროცესში შეიძინა პრაქტიკული უნარები. უნივერსიტეტი პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების სტუდენტებს სთავაზობს მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართულობას. გარდა ამისა, უსდ ორგანიზებას უწევს სტუდენტურ კონფერენციებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტში გამოიცემა ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი (Caucasus Journal of Social Sciences), სადაც სტუდენტებს ასევე შეუძლიათ სტატიების გამოქვეყნება ხელმძღვანელებთან თანაავტორობით. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, მოქმედი და ხელმოწერის პროცეში მყოფი მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მცირევადიან სტაჟირებაში (გერმანია, ბელგია), გაცვლით პროგრამებში და სხვა ექსტრაკურიკულარულ აქტივობებში. საქართველოში მოქმედი სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებთან პარტნიორობით (NLO; GFSIS; GSAC; IDFI) უნივერსიტეტში ტარდება ყოველწლიური კონფერენციები, სემინარები და სხვა აქტივობების საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ ინფორმაცია ასახულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, ზოგიერთი სტუდენტური კონფერენციის შესახებ ინფორმაცია იძებნება უსდ ვებგვერდზე, თუმცა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უსდ-ს არ წარმოუდგენია. დამსაქმებლების განმარტებით, ისინი სთავაზობენ სტუდენტებს პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას სხვადასხვა მცირე ვადიანი სტაჟირებებით და ასევე თანამშრომლობენ უსდ-თან სხვადასხვა ექტრაკურიკულარულ აქტივობებში. ინტერვიუების პროცესში სტუდენტები ადასტურებენ ინფორმაციის ფლობას. სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარჩვევების განვითარების შესაძლებლობა დადებითად არის შეფასებული გარე შეფასებაში უცხოელი კოლეგის მიერ (ვასედა, იაპონია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
2. თვითშეფასების ანგარიში;
3. მემორანდუმები;
4. გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების სია;
5. სამოქმედო გეგმა 2019-2022;
6. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საგნებით სტუდენტების კმაყოფილება;
7. ინტერვიუების შედეგები;
8. უნივერსიტეტის ვებგვერდი;
9. გარე შეფასება.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება:

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებულია სხვადასხვა სწავლების მეთოდები (ინტერაქციული ლექციები, კრიტიკული ანალიზი, მცირე კვლევების ჩატარება, დისკუსიები, ჯგუფური დავალებები, პროექტები, შემთხვევის ანალიზი (case study), შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში, წერითი მუშაობის მეთოდი, პრეზენტაციის წარდგენა). როგორც სწავლების, ასევე შეფასების მეთოდები და მათი შესაბამისი აქტივობები აღწერილია სასწავლო სილაბუსებში. ინტერვიუების პროცესში როგორც პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ განხორციელდა ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებები სტუდენტების მოთხოვნის საფუძველზე (ქვიზები შეიცვალა ანალიტიკური შუალედური შეფასებით, გაიზარდა რეფერატების/პრეზენტაციები ქულობრივი შეფასება).

გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ინტერვიუების პროცესში სტუდენტები ადასტურებენ მათი ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას. სწავლება-სწავლის მეთოდები დადებითად არის შეფასებული გარე შეფასებაში უცხოელი ექსპერტის მიერ (ვასედა, იაპონია).

მტკიცებულება/ინდიკატორები: 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; 2. თვითშეფასების ანგარიში; 3. ინტერვიუების შედეგები; 4. გარე შეფასება.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების სისტემა თანხვედრაშია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. უსდ-ში მოქმედებს საგამოცდო ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, სადაც დეტალურადაა გაწერილი სტუდენტთა შეფასება სასწავლო კომპონენტში. საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასების სისტემის თანახმად, უნივერსიტეტი უშვებს: 1) ხუთ დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. 2) ორ უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საუნივერსიტეტი შეფასების გრადაციის მიხედვით, დადებითი შეფასებები ჩაშლილია მაგ., შემდეგნაირად: 97-100 (A+); 94-96 (A); 91-93 (A-); 87-90 (B+); 84-86 (B); 81-83 (B-) და ა.შ. შეფასებებს მინიჭებული აქვს შესაბამისი საშუალოს კოეფიციენტი (GPA). გასაუბრებისას, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მოყვანილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები შეესაბამება მათი კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის შედეგებს. ამასთან, შემფასებლებისთვის ცნობილია შეფასების მეთოდების თანამედროვე სტანდარტები, თუმცა აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სილაბუსში იკვეთება შეფასების მეთოდებისთვის განკუთვნილი ერთი და იგივე კრიტერიუმი. მაგ: ღია კითხვები -

• პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია 100%

• პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია 75%

• პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია 50%

• პასუხი ფრაგმენტულია 25%

• პასუხი არასწორია 0%

განმარტებები 4

თემა (ესსე)

• სტუდენტი სრულად ფლობს საჭირო ინფორმაციას, მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია 100%

• სტუდენტი ფლობს საჭირო ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს, მსჯელობა საკმარისად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები დასაბუთებულია 75%

• სტუდენტი ნაწილობრივ ფლობს საჭირო ინფორმაციას, მსჯელობა მეტნაკლებად თანმიმდევრული და ლოგიკურია, დასკვნები მეტ დასაბუთებას საჭიროებს 50%

• სტუდენტის ინფორმაცია მოცემულ საკითხზე მწირია, მსჯელობა არათანმიდევრული და ნაკლებად ლოგიკურია, დასკვნები დაუსაბუთებელია 25%

• სტუდენტი არ ფლობს საკითხს 0%

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით“, მართალია სილაბუსში გაწერილია კრიტერიუმები, მაგრამ შეფასების კრიტერიუმებს შორის დიაპაზონი იმდენად დიდია (25%), რომ შესაძლოა სტუდენტისთვის გაუგებარი აღმოჩნდეს და არ იყოს გამჭვირვალე შეფასების გარკვეული კრიტერიუმი, მაგალითად, რა შემთხვევაში იღებს მაქსიმალური შეფასების 85%-ს. ამიტომ რეკომენდებულია „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე და ობიექტური.

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალე-დურს და დასკვნითს. შუალედური შეფასების ფორმა მრავალკომპონენტიანია. შფასებისას გამოიყენება მაგ., შუალედური გამოცდა, ნაშრომის პრეზენტაცია და/ან სხვ.). შეფასების ფორმების ადმინისტრირება განსაზღვრულია საბაკალავრო სწავლების დებულებით, რომლის მიხედვითაც შუალედური და დასკვნითი გამოცდების ადმინისტრირებას ახორციელებს შესაბამისი სკოლის/დეპარტამენტის/დსპ-ის ადმინისტრაცია. ამავე დოკუმენტშია განსაზღვრულია გამოცდაზე დაშვების წინაპირობა, ქცევის წესები გამოცდაზე, შუალედური და დასკვნითი გამოცდების აღდგენის, გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრების წესი.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომლის მიხედვით სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს წერით ნაშრომს (მოითხოვოს ზეპირი დისტანციური გამოცდის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი) და გაასაჩივროს შუალედურ შეფასებებში მიღებული შედეგი შეფასების „UG სისტემაში“ ასახვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. სტუდენტს შეუძლია „ჩემი UG“-ის მეშვეობით აღნიშნული შუალედური შეფასების გასაჩივრების განცხადე-ბით მიმართოს საკუთარი პროგრამის ხელმძღვანელს. შუალედური შეფასების გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი. დასკვნითი გამოცდის

შემთხვევაში, სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილს აპროტესტებს. პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემდეგ, დეკანი უზრუნველყოფს კომისიის შექმნას დოკუმენტში გაწერილი წესების მიხედვით. სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, სადაც გაწერილია აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმები, პრევენცია, დისციპლინური სანქციები და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი, დისციპლინური სანქციის შეფარდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. შესაძლო პლაგიატის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად იყენებენ Turnitin-ის პროგრამას, რომლის მეშვეობითაც მოწმდება სემესტრული ნაშრომები, მათ შორის, რეფერატები, ესსეები, კვლევითი პროექტები და საბაკალავრო ნაშრომები. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განსაზღვრულია დამტკიცებული წესით „საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა და შეფასება სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში“, სადაც აღწერილია საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად და წარსადგენად საჭირო პროცედურები. საბაკალავრო ნაშრომის პროექტის დასკვნითი შეფასება 40-ქულიანია (საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ჩასაბარებლად აუცილებელია არანაკლებ 20 ქულის (50%-ის) მიღება). საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება საბჭოს თავჯდომარის, ხელმძღვანელის და ექსპერტის მიერ ინდივიდუალურად. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულ ქულათა ჯამს. საბაკალავრო სწავლების დებულების მიხედვით, შესაძლებელია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრება, ამავე დოკუმენტშია მოყვანილი გასაჩივრები წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენების სილაბუსები; 2. საბაკალავრო სწავლების დებულება; 3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა და შეფასება სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში - დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2021 წლის 31 მარტის N 13/21 ოქმით); 4. აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ოქტომბრის N 63/19 ოქმით); 5. სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი; 6. ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე და ობიექტური.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სტუდენტები სასწავლო პროცესისა და პროგრამის შესახებ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და „ჩემი UG“ სისტემის მეშვეობით; აგრეთვე, კონსულტაციას გადიან პროგრამის ხელმძღვანელთან, სკოლის მენეჯერებთან. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სტუდენტს შეუძლია დახმარებისთვის და კონსულტაციისთვის მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს და საკვალიფიკაციო ნაშრომების განყოფილების მენეჯერს. უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო სტუდენტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც საერთაშორისო მობილობის მიმართულებით სტუდენტთა კონსულტირებას ახორციელებს, და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც სტუდენტთა დასაქმების კუთხით მათ კონსულტირებას ახდენს.

სტუდენტს, ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს ელექტრონული პლათფორმა „ჩემი UG“, რომელიც იძლევა როგორც ადმინისტაციული საკითხების (ცნობის მიღება/გაგზავნა, განცხადების, საჩივრის დაწერა და ა.შ.) მოგვარების, ისე სალექციო-საგამოცდო პროცესის ელექტრონულად, დისტანციურად წარმართვის და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების საშუალებას. სტუდენტი უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს უკავშირდება შეტყობინების ელექტრონული სისტემის საშუალებით.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან და პერსონალთან გასაუბრებიდან გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტრუდენტთა საკონსულტაციო საათებიც, თუმცა ექსპერტთა ჯგუფისთვის დატვირთვის შესახებ ინფრომაციის გადმოცემის თხოვნის მიუხედავად, აღნიშნული დოკუმენტაცია ექპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ გახდა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დაესწრონ პროგრამასთან დაკავშირებულ საჯარო ლექციებს, კონფერენციებს, ღონისძიებებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. აგრეთვე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მსოფლიოს მასშტაბით, სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით. უნივერსიტეტმა დოკუმენტის სახით წარმოადგინა ინფორმაცია საერთაშორისო მობილობაში შვიდი სტუდენტის მონაწილეობის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოვლინდა მათ მიერ ნაკლები დაინტერესება გაცვლით პროგრამებით, რის გამო სასურველია უნივერსიტეტმა მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია, შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობაში სტუდენტთა ჩასართავად.

წარმოდგენილი თვითშეფასებიდან ჩანს, რომ სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში. თუმცა, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ ინფრომაციის გადმოცემის თხოვნის მიუხედავად, აღნიშნული დოკუმენტაცია ექპერტებისთვის ხელმისაწვდომი არ გახდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული განვითარების სამსახური. სტუდენტებს ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ეგზავნებათ შეტყობინებები არსებული ვაკანსიებისა თუ სტაჟირებების შესახებ. აგრეთვე, უნივერსიტეტს სხვადასხვა კომპანიებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რაც ითვალსიწინებს პროგრამის სტუდენტების სტაჟირებას. თუმცა, როგორც დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, სტაჟირების პროგრამაში მცირე რაოდენობის სტუდენტთა ჩართვა ხდება მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა პრაქტიკულ ნაწილს უპირატესობას ანიჭებს მიღებული ცოდნის გაუმჯობესების მიზნით. აღიშნულიდან გამომდინარე, სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტთა სტაჟირების განხორციელება საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ფარგლებში. აქვე აღსანიშნავია უნივერსიტეტის მზაობა, გაითვალსიწინოს სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებანი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის დამატება. როგორც სტუდენტები და კურსდამთავრბეულები აღნიშნავენ, მათი მოთხოვნა სწორედ პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება იყო, რასაც გამოკითხვევშიც აფიქსირებდნენ, ამიტომ უნივერსიტეტმა მათი ინტერესები გაითვალისწინა და პროგრამას პრაქტიკული ნაწილი დაამატა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;

2. საბაკალავრო სწავლების დებულება;
3. „ჩემი UG“-ის პლატფორმა;
4. საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება;
5. მემორანდუმები;
6. უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.ug.edu.ge;
7. ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უნივერსიტეტმა მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია, შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობაში სტუდენტთა ჩასართავად.
2. სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტთა სტაჟირების განხორციელება საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ფარგლებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

1. უნივერსიტეტის მზაობა, გაითვალსიწინოს სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებანი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სასწავლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის დამატება. როგორც სტუდენტები და კურსდამთავრბეულები აღნიშნავენ, მათი მოთხოვნა სწორედ პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება იყო, რასაც გამოკითხვევშიც აფიქსირებდნენ, ამიტომ უნივერსიტეტმა მათი ინტერესები გაითვალისწინა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას პრაქტიკული ნაწილი დაამატა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები სამივე უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, რომლის კრიტერიუმებია: კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აკადემიური სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო კონფერენციებში, გრანტებში, ტრენინგებში მონაწილეობა. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ფორმდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესატყვისად.

დღეისათვის პროგრამაში ჩართულია 104 პროგრამის განმახორციელებელი პირი, აქედან აკადემიურ თანამდებობაზეა 34 (5 პროფესორი, 28 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-

პროფესორი). პროგრამას ახორციელებს 32 აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი (5 პროფესორი, 26 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი). მოწვეულია 70 ლექტორი. პროგრამის განხორციელების პროცესში მონაწილეობს ერთი უცხოელი სპეციალისტი. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას და შეესაბამება პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების ბალანსი ქმნის პროგრამის მდგრადობას. თუმცა, აღნიშნულის შესახებ დოკუმენტი, რომელიც აკრედიტაციის ჯგუფმა მოითხოვა, არ იყო წარმოდგენილი. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში. მისი კვალიფიკაცია დასტურდება სფეროში სამუშაო გამოცდილებითა და აკადემიური აქტივობით. პერსონალის მირ წარმოდგენილ CV-ები ადასტურებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს (სტატები ჟურნალებში, საპროექტო კვლევები, კონფერენციებში მონაწილეობა, წიგნის თარგმანი და სხვა) ბოლო ხუთი წლის მანძლზე. ის ეფქტიანად უძღვება პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და მოდიფიცირების/განვითარების პროცესს, თვალს ადევნებს სტუდენტთა კმაყოფილებასა და მათ აკადემიურ მოსწრებას. პროგრამა ხელშეწყობილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აძლიერებს პროგრამას მისი პერიოდიული მონიტორინგით. პროგრამის სტუდენტები, უნივერსიტეტის მიერ, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამას ემსახურება როგორც ადმინისტრაციული, ისე დამხმარე პერსონალი. ამ პროცესში ჩართულები არიან ფაკულტეტის დეკანი და აკადემიური პროცესის მართვის სპეციალისტები. პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მენეჯერი, სტუდენტურ საქმეთა ცენტრი სტუდენტს ეხმარება მიიღოს სრული ინფორმაცია სწავლების პროცესის, ექსტრაკურუკულური აქტივობებისა თუ სხვა ფორმატის ღონისძიებების შესახებ. აკადემიური წლის დასაწყისში სტუდენტთა ცენტრი ატარებს საორიენტაციო დღეებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სწავლის ფორმატს, აპელაციის მექანიზმს, სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მაქსიმალურადაა მოტივირებული შექმნას სტუდენტისათვის კომფორტული და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. აკადემიური პერსონალის CV-ები; 2. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი; 3. ლექციების/სემინარების/პრაქტიკული მეცადინეობის შესაფასებელი გამოკითხვის ფორ-მები; 4. ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, სტუდენტური ცენტრის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია არსებობდეს (წარმოდგენილი ყოფილიყო დოკუმენტი) აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ. -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
• დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; • უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მუშაობის ხარისხი პერიოდულად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ამ მიზნით სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში შეფასების შემდეგი მექანიზმი ფუნქციონირებს. აკადემიურ პერსონალს აფასებს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტი. სტუდენტთა გამოკითხვები მათი პროგრამით კმაყოფილებასთან დაკავშირებით ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარით. შედეგების ანალიზის მიხედვით კეთდება შესაბამისი რეაგირება - ხდება კონკრეტული სასწავლო კურსების გადახედვა და მოდიფიცირება (საჭიროების შემთხვევაში) სკოლის დირექტორისა, პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ. ისინი შემუშავებენ რეკომენდაციებს, გეგმავენ ცვლილებებს და შემდგომ საბჭო ამტკიცებს ცვლილებებს. პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი სკოლა უნივერსიტეტში მოქმედ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად, რომელშიც შედის აკადემიური პერსონალს განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახური და ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალის „Caucasus Journal of Social Sciences“ რედაქცია. სამეცნიერო კველვითი საქმიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პოლიტიკსა და საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში შექმნილია UG Security Platform, რომელიც აწარმოებს კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობას. უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის წასახალისებაზე, ეხმარება მათ ფინანსურად საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. ახლად მიღებულ აკადემიურ პერსონალს გრანტით უფინანსდება სამწლიანი კვლევითი პროექტი (პროექტის არქონის შემთხვაში აკადემიურ პერსონალს ეძლევა საშუალება ჩაერთოს უკვე არსებულ, მისთვის საინტერესო პროექტში). უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი გასცემს შიდასაუნივერსიტეტო გრანტებს კვლევებზე და უცხოენოვანი წიგნების თარგმნაზე, აფინანსებს აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი

მონოგრაფიების გამოცამას და ავტორს უხდის ჰონორარს. სამეცნიერო ნაშრომი შემდგომ გამოიყენება სასწავლიო პროცესში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მონოგრაფიის რეცენზირებას აკეთებს ადგილობრივი ცნობილი მეცნიერი. სასურველია, სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სფეროს სპეციალისტის რეცენზირება. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ აღნიშნული ქმედება ხელს შეუწყობს ნაშრომის ვალიდურობის გაზრდას. უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევებისა და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების წახალისების ფინანსური მექანიზმი: ყველა მეცნიერი, რომელიც რეფერირებად ჟურნალში აქვეყნებს სამეცნიერო სტატიას, ჯილდოდ იღებს 1500 ან მეტ ლარს, ასევე მას უნაზღაურდება ჟურნალში გამოქვეყნების ხარჯებიც. უნივერსიტეტი, პროგრამის განმახორციელებელი სკოლა და წარმოდგენილი პროგრამა იყენებს ფართო ინტერნაციონალიზაციის შესძლებლობებს და სურვილის შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს აკადემიური პარსონალის მონაწილეობას საერთაშორისო აქტივობებში (კონფერენცია, ტრენინგი, ფორუმი და სხვა). უნივერსიტეტი თავადაცაა ჩართული მის ბაზაზე საერთაშორისო/საუნივერსიტეტო კონფერენციების ორგანიზების პროცესში (კონფერენციები ეწყობა როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ისე სტუდენტებისთვის). უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებისა და პროგრამის ეფექტიანად გასახორციელებისთვის პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ტრეინინგები (მაგ., სწავლების მეთოდოლოგიის, სილაბუსის შედეგენის და სხვა საკითხებზე). ასევე, იწვევენ მაღალი რანგის პროფესიონალებს უცხოეთიდან ტრენინგებისა და გამოცდილების გასაზიარებლად (მაგ., სწავლების მეთოდოლოგიებზე ტრენინგი ჩატარდა მიმდინარე წლის ზაფხულში). უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და გამოყოფს შესაბამის დაფინანსებას, რაც ასახულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, 2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესები, 3. პროგრამის ბიუჯეტი, 4. აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები, 5. სამეცნიერო ჟურნალი, 6. უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სასურველია სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სფეროს სპეციალისტის რეცენზირება, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომის ვალიდურობის გაზრდას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): 1. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური წახალისების მოქმედი მექანიზმი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა პროგრამის განხორციელებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად: უნივერსიტეტს გააჩნია მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც სრულად გამოიყენება პროგრამის განხორციელებისას. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვილი კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები და სივრცეები, მათ შორის ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, ევროპის კავშირის და ნატოს სახელობის საკონფერენციო სივრცე.

უნივერსიტეტში შექმნილია კეთილმოწყობილი, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც ბეჭდური ლიტერატურით, აგრეთვე, ციფრული რესურსით. უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ატვირთულია ყველა ძირითადი (სავალდებულო) ლიტერატურა. დამატებითი ლიტერატურის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ის საბიბლიოთეკო ბაზაში არ იძებნება, ხდება გაციფრულება და სტუდენტისთვის მიწოდება.

უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პლატფორმა „ჩემი UG", რომელიც ტექნიკურად უზრუნველყოფილია ყველა იმ მახასიათებლით, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. ტექნიკურ-მატერიალური რესურსის დათვალიერება;
2. შერჩევითობის პრინციპით ბიბლიოთეკის ფომდში ლიტერატურის არსებობის შემოწმება;
3. ინტერვიუები ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება:

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრამა) აქვს საკუთარი ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტი მთლიანად ივსება სტუდენტთა სწავლის გადასახადით და 60%-ს უხდის უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, სტუდენტთა მნიშვნელოვნად კვლების შემთხვევაში, უნივერსიტეტი გამოყოფს დოტაციურ თანხებს პროგრამის ბიუჯეტში.

პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლები: აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები, სასწავლო რესურსი (სასწავლო ტექნიკის გაუმჯობესება, სასწავლო ლიტერატურის განახლება), კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტატიები, სტუდენტების საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამები. კვლევითი პროექტებში ჩართულობის დაფინანსება გათვალისწინებულია როგორც პროგრამის, ისე სკოლის და უნივერსიტეტის ბიუჯეტში. სასურველია, რომ არსებულ წახალისების მექანიზმებს დაემატოს ასევე ლექტორთა წახახალისება, რომლებიც ხელს უწყობენ კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობას. საბიბლიოთეკო ფონდის შევსების (წიგნების, თარგმნისა და გამოქვყნების) ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს თანხები კვლევითი პროცესის წასახალისებლად და მხარდასაჭერად: უნივერსიტეტში მოქმედებს შიდასაგრანტო სისტემა.

პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამის ბიუჯეტი;
2. ინტერვიუს შედეგები;
3. https://ug.edu.ge

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია მოხდეს ლექტორების წახალისება, რომ სტუდენტები ჩართონ კვლევით პროექტებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება:

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესების ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს რექტორის საბჭოს მიერ დამტკიცებული (ოქმი N 51/20, 24.11.2020; ცვლილება - ოქმი N 12/21, 25.03.2021) „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“, რომელიც: ▪ აღწერს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პროცესს (მათ შორის, პროგრამის ინიცირების, შექმნის და შემუშავება/განახლების ეტაპები, პროგრამის დამტკიცების და გაუქმების, დაფინანსებისა და ადმინისტრირების საკითხები, პროგრამის ხელმძღვანელების, სასწავლო კომპონენტების კურატორის, პროგრამის განვითარების საბჭოს ფუნქციები და ა.შ.); ▪ განმარტავს მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამებისადმი (მათ შორის, სწავლების ენა, მოცულობა, პროგრამის მდგენელები, პროგრამის ტიპები, სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები და სხვ.); ▪ ადგენს მოთხოვნებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისადმი (მათ შორის, მოთხოვნები კვალიფიკაციისადმი, პერსონალის და სტუდენტების რაოდენობების თანაფარდობები (საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - არანაკლებ 1/20), მუდმივი აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან (არანაკლები 1/6-

ზე), და სხვ.). აქვე აღვნიშნავთ, რომ მიზანშეწონილია დაკორექტირდეს გამოყენებული ტერმინი „მოწვეული აკადემიური პერსონალი“ (იხ. თ.4, მ.1, პ.4), რადგან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება ამ კანონით დადგენილი წესით შერჩეული უსდ-ს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი);

- განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმებს (მაგ., პროგრამის შეფასების მიზნები, მეანიზმები, პერიოდულობა, პროგრამის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება და სხვ.). პროგრამის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა კითხვარები (სასწავლო კურსის და ლექტორის შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის; სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასების ფორმა სტუდენტებისთვის; სასწავლო კურსის შეფასების ფორმა ლექტორებისთვის; უნივერსიტეტში მიღებული განათლების შეფასების ფორმა (დასაქმებული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის); აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევების მოთხოვნის და შეფასების კითხვარი დამსაქმებლებისთვის).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებულ დოკუმენტში მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად დაემატოს ჩანაწერი პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენისა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესახებ, მითუმეტეს, რომ ამას დაწესებულება პრაქტიკულად ახორციელებს, რაც დასტურდება თვითშეფასების დანართით „პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები“. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით, პროგრამის შეფასებისას შეისწავლება სასწავლო პროცესი, ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა და სხვ. ასევე, პროგრამის შეფასების პროცესში ხდება მისი შინაარსობრივი მხარის შესწავლა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესახამისობის დადგენა და ა.შ. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამების შეფასება ტარდება დახლოებით 1-2 წელიწადში ერთხელ (სტუდენტების გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად, წლის ბოლოს მონაცემები გადაეცემა ხარისხის სამსახურს), პროგრამის განმახორციელებელი სკოლა (პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები) თავისი ინიციატივით (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან დამოუკიდებლად) წელიწადში ერთხელ აფასებს პროგრამას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის (შემდგომში - თვითშეფასების ანგარიში), თანდართული დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, პროგრამის მოდიფიცირების პროცესს კურირებდა „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკლავარო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო შემდეგი შემადგენლობით: პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროგრამების ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების ლექტორი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის სამსახურის მენეჯერი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლი მენეჯერი, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი, „საერთაშირისო ურთიერთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული და სტუდენტი, აკრედიტაციის განყოფილების უფროსი (იხ. ოქმი #12-21, 26.04.

2021). გარდა ზემოთ მითითებული პირებისა, ასევე, თვითშეფასების ჯგუფში ჩართული იყო პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი. მუშაობის პროცესში ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები და უცხოეთის უსდ-ების ანალოგიური პროგრამები, შეჯამდა და გაანალიზდა პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, განმახორციელებლების და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვების შედეგები, მოხდა გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირება და პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა და შეტანა.

ინტერვიუებიდან (თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებლებლები, ჯგუფის წევრი სტუდენტი, სხვ.) ირკვევა, რომ სამუშაო პროცესი იყო თანამშრომლობითი და გამჭვირვალე, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი და პროგრამის ხელმძღვანელი (უცხოეთის ანალოგიური პროგრამის და შრომის ბაზრის შესწავლა, საჭირო რესურსების განსაზღვრა, სხვ.) და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (აკრედიტაციის სტანდარტების და მოთხოვნების განმარტება, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების კონტროლი, თვითშეფასების ანგარიშის შემუშავება, სხვ.). უნივერსიტეტის მიერ მომავალში გასათვალისწინებელია, რომ ნაცვლად თვითშეფასების ანგარიშში მითითებულისა „B.A in International Relations“ ინგლისურ ენაზე კვალიფიკაცია უნდა მიეთითოს „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (იხ. მ4.) შესაბამისად, კერძოდ „Bachelor of International Relations“ (აქვე დავძენთ, რომ წარმოდგენილ პროგრამაში მსგავსი ჩანაწერი არ ფიქსირდება).

ინტერვიუს დროს როგორც თვითშეფასების ჯგუფის წევრები, ისე პროგრამის განმახორციელებლები ადასტურებდნენ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის აქტიურ ჩართულობას და აღნიშნავდნენ, რომ ღებულობდნენ მისგან ყველა საჭირო ინფორმაციას, კომპეტენტურ კონსულტაციებს და ა.შ. აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამ ფუნქციას ასრულებს შეთავსებით, რადგან ამავდროულად არის სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელი. არსებული მოცემულობა ნაკლებად რელევანტურია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე.

თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგები შეჯამდა თვითშეფასების ანგარიშის სახით. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საკითხი განიხილა პროგრამის განვითარების საბჭომ (ოქმი #1, 15.06.2021), რომლის დადგენილებით პროგრამაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები, მაგ.: დაემატა სასწავლო კურსები, პროგრამაში დაზუსტდა სწავლის ორგანიზაების თავისებურებები და სხვ. აღსანიშნავია განხორციელებული თვითშეფასების პროცესის დადებითი გარემოებები - პროცესის თანამშრომლობითი ხასიათი, ამ პროცესში როგორც აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების, ასევე გაუმჯობესებაზე მიმართული აქტივობების იდენტიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საგანმანათლებლო პროგრამის დებულება“ (რექტორის საბჭოს მიერ დამტკიცებული: ოქმი N 51/20, 24.11.2020; ცვლილება - ოქმი N 12/21, 25.03.2021);
2. პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმები (#12-21, 26.04. 2021; #1, 15.06.2021);
3. დოკუმენტი „შრომის ბაზრის კვლევა“;
4. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები (ფორმები და ანალიზის დოკუმენტები);
5. „პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები“;

6. „პროგრამის კომპეტენციების მატრიცა“ (ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი);
7. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად დაემატოს ჩანაწერი პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენისა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესახებ, მითუმეტეს, რომ ამას დაწესებულება პრაქტიკულად ახორციელებს;
2. მიზანშეწონილია „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ დაკორექტირდეს გამოყენებული ტერმინი „მოწვეული აკადემიური პერსონალი“;
3. მიზანშეწონილია გადაიხედოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადამიანური რესურსის საკმარისობის საკითხი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრაა) 2012 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) გადაწყვეტილებით (N819, 13.12.2021) მიენიჭა აკრედიტაცია. საბჭოს სხდომის ოქმის (N20, 13.12.2021) თანახმად, პროგრასთან დაკავშირებით იყო გამოთქმული რამდენიმე რეკომენდაცია. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე: „დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები იყო შენიშვნა თუ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა“, დასკვნის წარმდგენმა პირმა განმარტა, რომ „შეფასებები სარეკომენდაციო ხასიათისაა“ (აქვე დავძენთ, რომ პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პერიოდში რეკომენდაციების შესრულება არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრებების შედეგებით დგინდება, რომ საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულება განხორციელდა შემდეგნაირად:

საბჭოს რეკომენდაცია	შესრულების აღწერა	მტკიცებულება
სასურველია პროგრამაში კონკრეტული ქეისების სახით შესწავლილ იქნას საერთაშოროსო კონფლიქტები. (შესაძლებელის ცალკე საგნად მისი შეთავაზება, ანდა რომელიმე საგანში ინკორპორირება)	შემუშავებულია სასწავლო კურსი „საერთაშორისო კონფლიქტების და ომის მიზეზები“ (6 კრედიტი, სავალდებულო).	პროგრამის კურიკულუმი (სასწავლო გეგმა), სასწავლო კურსის სილაბუსი

სასურველია პროგრამაში იყოს შეთავაზებული ისეთი საგნის სწავლება, როგორიცაა ადამინის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	საკითხები ჩაშლილია სხვადასხვა სასწავლო კურსებში და ამ გზით ხდება მათი შესწავლა (აღნიშნულს ადასტურებდა საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის წარმდგენი პირი), მაგ. პროგრამის სასწავლო კურსით „ევროკავშირის სამართალი“ შეისწავლება ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგ.: ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებები, ადამიანის უფლებათა ჩარჩოს განვითარება ევროკავშირში, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია · ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო vs მართლსამჯულების ევროპული სასამართლო და სხვ.	აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი (N20, 13.12.2021); შესაბამისი სილაბუსი
სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს საერთაშორისო ორგანიზაციების სასწავლო კურსი (სილაბუსში გათვალისწინებულ იქნეს დამატებით რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის გაცნობა)	სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები“ (6 კრედიტი, სავალდებულო) მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა მაგ.: გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციები: ერთა ლიგა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს უშიშროების საბჭო, ნატო და ევროპული უსაფრთხოება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია; საერთაშორისო განვითარება: Bretton Woods ინსტიტუციები და სხვ.	სასწავლო კურსის სილაბუსი
სასურველია საგანს ,,საქართველოს მთავრობა და პოლიტიკა“ შეეცვალოს სახელწოდება და საგანს დაერქვას ,,საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზება“, აღნიშნული კურსის ფარგლებში შესაძლებელია ლიტერატურის სახით მიეთითოს საქართველოს კონსტიტუციაც	პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი „შესავალი საქართველოს პოლიტიკაში“ (6 კრედიტი) ითვალისწინებს ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად: საქართველოს კონსტიტუცია, სახელმწიფოს მოწყობის მოდელი, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტები, სახელმწიფო, მართლმსაჯულება, საარჩევნო სისტემა, საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საპარლამენტო რესპუბლიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა. და სხვ.	სასწავლო კურსის სილაბუსი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ „საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლა იყენებს პროგრამების ხარისხის გარე შეფასებას, რომელიც გულისხმობს პროგრამის შეფასებას, ერთი მხრივ დამსაქმებლების, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო ექსპერტების პერსპექტივიდან“, რაც დასრურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით - საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელისა და ერთ-ერთი უცხოეთის უნივერსიტეტის პროცესორის ოფიციალური წერილებით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დამსაქმებელთა დამოკიდებულებების კვლევის ანალიზის დოკუმენტის თანახმად, ჩატარდა 9 სიღრმისეული ინტერვიუ, 1 ფოკუს-ჯგუფი (მიზანი იყო დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა, პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების იდენტიფიცირება). ინტერვიუზე, დამსაქმებლებმა და სტაჟირების განმახორციელებლებმა დაადასტურეს, რომ მიიღეს მონაწილეობა გამოკითხვებში, პროგრამის შემუშავებისა და განხილვის პროცესში და დადებითად შეაფასეს პროგრამა. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვეს პროგრამის კურსდამთავრებულებმაც.

შეჯამების სახით აღვნიშნავთ, რომ ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს თავად დაწესებულების მიერ გასაუმჯობესებელ ასპექტედ იდენტიფიცირებულ გარე ხარისხის შეფასების ჩატარების სიხშირეს და თვითშეფასების ანგარიშში ამ გარემოების გაუმჯობესების მექანიზმს „გარე შეფასების გაძლიერებისა და სიხშირის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული საერთაშორისო ექსპერტებით და რომელთა, ძირითადი საქმინობა მოიცავს პროგრამის ყოვეწლიურ შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას და მონიტორინგს“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი (N20, 13.12.2021) https://eqe.ge/media/6635/Oqmi_13_12_2012.pdf
2. თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
3. დამსაქმებელთა კვლევა (კითხვარი და კვლევის ანგარიში);
4. კურსდამთავრებულთა კვლევა (კითხვარი და კვლევის ანგარიში);

5. პროგრამის გარე შეფასება (საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელისა და ერთ-ერთი უცხოეთის უნივერსიტეტის პროფესორის ოფიციალური წერილები;
6. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება:

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დებულების“ (თ.5, მ. 4), თანახმად: „პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ“, „განხორციელებული შეფასების ხარისხის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასების შემთხვევაში არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ“, „პროგრამის შედეგების შეფასება ხდება სკოლის საბჭოზე, სკოლის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის კომპონენტის ცვლილების პროექტში და წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად“.

პროგრამის შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა გამოკითხვის ფორმები. პროგრამის მიზნებისთვის შესწავლს იქნა: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებით და პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების, პროგრამის სასწავლო კურსებით და პროგრამით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების, პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული განათლების შეფასების, პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის შედეგები.

გამოყენებულ კითხვარებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში მათი შინაარსი (რუბრიკები/კითხვები) დასახვეწია. ასე, მაგ.: „საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებით აკადემიური პერსონალის კმაყოფილება“ - უცნაურია, როდესაც სილაბუსების ავტორებისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის მიერ შესაფასებელი ასპექტებია: „კურსის შინაარსი თემის ამომწურავია“, „კურსის შინაარის საკმარისია სტუდენტითვის თეორიული ცოდნის მისაცემად“, „კურსის შინაარის საკმარისია სტუდენტითვის პრაქტიკული ცოდნის მისაცემად“, „კურსის სასწავლო ლიტერატურა გასაგებია სტუდენტებისთვის“, „კურსის სასწავლო მასალების მოცულობა სრულიად ადეკვატურია სტუდენტის შესაძლებლობებისთვის“, „სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო მასალები/წიგნები, ეფექტურია კურსის მიზნების მისაღწევად“, „სილაბუსით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები ეფექტურია კურსის მიზნების მისაღწევად“, „კურსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები საკმარისია სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად“, „კურსის წინაპირობა/წინაპირობები შესაბამისია მოცემული კურსის დასაძლევად“ და ა.შ. ასევე, არანაკლებ უცნაურია ამ ასპექტებთან მიმართებაში აკადემიური პერსონალის შესაძლო პასუხები („ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, მიჭირს პასუხი“) და მიღებული შედეგები, მაგ., კითხვაზე „1.3. კურსის შინაარსი საკმარისია სტუდენტისთვის პრაქტიკული ცოდნის მისაცემად“ გაცემული პასუხი: 45% - ვეთანხმები, 45% - მიჭირს პასუხი, 10% - არ ვეთანხმებბი; კითხვაზე „1.4. კურსის სასწავლო ლიტერატურა გასაგებია სტუდენტებისთვის“ გაცემული პასუხები: 85%-ვეთანხმები, 15% - მიჭირს პასუხი; კითხვებზე: „1.7. სწავლების მეთოდები ეფექტურია კურსის მიზნების მისაღწევად“ და „1.8. კურსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები ეფექტურია სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად“ ორივე შემთხვევაში მიღებული პასუხები: 90%- ვეთანხმები, 10% - მიჭირს პასუხი. ამ პასუხების ჭრილში საერთოდ გაუგებარია, როგორ შეილება იყოს კითხვაზე „როგორია სალექციო კურსით თქვენი ზოგადი კმაყოფილება“ გამოკითხულთა 100%-ს სრული კმაყოფილება და პასუხი „კმაყოფილი ვარ“.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებით აკადემიური პერსონალის კმაყოფილება“ (იხ. გვ. 3, „დანართი 1. კითხვარი. სასწავლო კურსის შეფასების ფორმა აკადემიური პერსონალისთვის“) მითითებულია: *„კითხვარი მიზნად ისახავს თქვენი დამოკიდებულებების განსაზღვრას <u>თქვენს მიერ წაკითხულ სალექციო კურსებთან</u> - მათ შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და შეფასების ფორმებთან დაკავშირებით“*. ასევე, თავად უსდ არგუმენტირებულ პასუხში მიუთითებს, რომ კვლევის საგანია *„ყველა ლექტორის შეხედულებების და მოსაზრებების გათვალისწინება <u>მათ მიერ გაძღოლილ კურსთან</u> მიმართებით“*. ამ ჩანაწერებიდან გამომდინარეობს, რომ:

- წარმოდგენილი კვლევის შედეგები ეხება აკადემიური პერსონალის მიერ <u>უკვე განხორციელებული („წაკითხული“)</u> სასწავლო კურსების შეფასებას;
- აკადემიური პერსონალი, რომელიც არ ეთანხმება/ნაწილობრივ ეთანხმება სილაბუსში მითითებულ სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემას, სავალდებულო ლიტერატურას და ა.შ., თავის დამოკიდებულებას გამოხატავს არა წინასწარ (სილაბუსის გაცნობისთანავე და კურსის განხორციელების დაწყებამდე) ან თუნდაც გაძღოლის ეტაპზე, არამედ აგრძელებს მისთვის ნაკლებად მისაღები მოცემულობით სასწავლო კურსის განხორციელებას და თავის დამოკიდებულებას გახოხატავს სასწავლო კურსის განხორციელების შემდგომ;
- კურსის გაძღოლით მიღებული გამოცდილების მიუხედავად, ლექტორთა ნაწილს პოზიცია არის „მიჭირს პასუხი“.

ზემოთ მითითებულ დოკუმენტში მოცემული შეფასებები (მაგ., კურსის შინაარსი საკმარისია სტუდენტისთვის პრაქტიკული ცოდნის მისაცემად“ - ეთანხმება 45%; კურსის სასწავლო ლიტერატურა გასაგებია სტუდენტებისთვის - ეთანხმება 85%; კურსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები ეფექტურია სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად - ეთანხმრბა 90% და ა.შ.) არ შეესაბამება ამავე დოკუმენტის დასკვნებს მაგ.: „ყველა კურსის ლექტორი კურსებს ცალსახად ამომწურავად და ცოდნის მიღებისთვის ეფექტურად მიიჩნევს“ (იხ. გვ. 11); „როგორც ვხედავთ, ყველა შეფასებული საგნის ლექტორი, საერთო ჯამში კმაყოფილია მისი სალექციო კურსით - იმის მიუხედავად მხოლოდ თავად კითხულობს მას, თუ იყოფს სალექციო საათებს სხვა ლექტორთან“ (იხ. გვ. 10), „...პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებებში, ლექტორების მხრიდან არ იკვეთება რაიმე განსაკუთრებული შეუსაბამობა არც ერთმანეთთან და არც კურსის საბოლოო მიზნებთან“(იხ. გვ. 11), და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უსდ-ს პოზიცია გაზიარებული არ არის და დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია დარჩა უცვლელი.

სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი:

1) პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - მოქმედი პროგრამის მიზნებისთვის ჩატარდა პროგრამის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება თვითშეფასების დანართებით (შესაბამისი ფორმებით და ანალიზის დოკუმენტებით).

იმის გათვალისწინებით რომ პროგრამა უკვე რამდენიმე წელი ხორციელდება და უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტში ნახსენებია, რომ პროგრამები ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება შიდა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შეფასებას, დაწესებულებას ეთხოვა დამატებით წარმოედგინა სკოლის ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამის ბოლო შეფასების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი. თუმცა, ეს დოკუმენტები წარმოდგენილი არ იყო, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი ვერ დაადასტურებს თავად უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მექანიზმებისა და პროცედურების გამოყენების ფაქტს.

შესაბამისად, 2012 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020) განხორციელებული შეფასების/შეფასებების ამსახველ დოკუმენტები არ იქნა დამატებით წარმოდგენილი.. დამატებითი ინფორმაციის წარდგენის თხოვნა გამომდინარეობდა:

ა) სტანდარტის 5.2 კომპონენტის პირობიდან „პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება.... ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად“;

ბ) უსდ-ს ხარისხის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში არსებული ჩანაწერიდან, რომ პროგრამები ყველ 2 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება შიდა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შეფასებას.

განხორციელებული შეფასებების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო დოკუმენტურად არ დასტურდება აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020) უსდ-ს მიერ დადგენილი მექანიზმებისა და პროცედურების გამოყენება. შესაბამისად, უსდ-ს პოზიცია გაზიარებული არ არის და დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია დარჩა უცვლელი.

2) პროგრამის პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება - ეს საკითი სახულია დოკუმენტში „შრომის ბაზრის კვლევა. 2021“ (გავ. 100-140). ამ დოკუენტის თანახმად, შესწავლილ იქნა შემდეგი უცხოეთის უსდ-ების პროგრამები: The London School of Economics and Political Science – BSc International Relations; Durham University (UK) – International Relations BA; University of Kent – Politics and International Relations (Hons); Linkoping University - International and European Relations; Universitat Autonoma de Barcelona - bachelor's Degree in International Relations; Jacobs University, Bremen - International Relations: Politics and History (IRPH); Kadir Has University (Turkey) – BA in International Relations. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მოცემული უნივერსიტეტები შეირჩა იმ ნიშნით, რომ თითოული მათგანი გამოირჩევა ევროპის მასშტაბით, საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მიმართულებით საკმაოდ ძლიერი სკოლით/სწავლებით და შესაბამისად - რეიტინგით. თითოეული უსდ-ს შემთხვევაში ზემოთ მითითებული დოკუმენტი მოიცავს პროგრამების სტრუქტურის კომპონენტების (სასწავლო კურსების) ჩამონათვალს და იმ ასპექტებს, რომლებზეც ფოკუსირდება კონკრეტული პროგრამა. წარმოდგენილი დოკუმენტი რეზიუმეს სახით მოიცავს საერთაშორისო და ადგილობირვი სასწავლო პროგრამების ერთმანეთთან და საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამასთან შედარებას, გათვალისწინებულ ასპექტებს და მათი გაზიარების დასაბუთებას. გარდა ამისა, ინტერვიუს ფორმატში პროგრამის ხელმძღვანელმა დეტალურად ისაუბრა უცხოეთის უსდ-ების შერჩევის პრინციპზე და პროგრამების დადარების შედეგად პროგრამაში გათვალისწინებულ ასპექტებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საგანმანათლებლო პროგრამების დებულება“;
2. „საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებით აკადემიური პერსონალის კმაყოფილება“ (თვითშეფასების ანგარიშის დანართი, „3. IR პროგრამის სასწავლო კურსებით ლექტორების კმაყოფილება_ანალიტიკური“).

3. გამოკითხვის ფორმები და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საგნებით სტუდენტების კმაყოფილების, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით სტუდენტების კმაყოფილების; საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული განათლების შეფასების, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევის, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანალიზის დოკუმენტები;
4. დოკუმენტი „შრომის ბაზრის კვლევა“;
5. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. უნივერსიტეტში მოქმედი წესებით დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, მისი მეშვეობით უნდა იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.

2. გამოკითხვის შედეგების ვალიდურობისა და გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გადაიხედოს გამოკითხვის/კვლევის ფორმები დასმული შეკითხვების და შესაძლო პასუხების ნაწილში (მათ შორის რესპოდენტთა კატეგორიასთან რელევანტურობის თვალსაზრისით), ასევე კვლევის შედეგების ანალიზი/დასკვნები უნდა იყოს რეალისტური და კვლევით მიღებული შედეგების შესაბამისი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): -
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2.სწავლების მეთო-დოლოგია და ორგა-ნიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		
3.სტუდენტთა მიღწე-ვები, მათთან ინდი-ვიდუალური მუ-შაობა	V			
4.სწავლების რესურ-სებით უზრუნველ-ყოფა	V			
5. სწავლების ხა-რისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფავლენიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გვანცა აბალაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ქეთევან ჩეკურიშვილი